



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

შეფასების თარიღი 24-25.05.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი 27.06.2022

თბილისი
2022

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სტომატოლოგია Dental Medicine
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული სტომატოლოგი Doctor of Dental Medicine (DMD)
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0911 დენტალური მედიცინა / Dental Medicine
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	300
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული 2020 წლის 11 სექტემბრის N820915 გადაწყვეტილება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვლადიმერ მარგველაშვილი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ნანობაშვილი შპს საქართველოს უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვერა ხუნდაკიშვილი შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანაშვილი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მირანდა ნონიკაშვილი შპს საქართველოს უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთ-საფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა „სტომატოლოგიას“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 11.09.2020 გადაწყვეტილებით მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლით.

პროგრამის ხანგრძლივობა ხუთი წელია, კრედიტების რაოდენობა - 300. სწავლება მოიცავს 10 სემესტრს. ერთი კრედიტი შეესაბამება 25 საათს. სავალდებულო და არჩევითი კრედიტების თანაფარდობა - 289/11, სწავლების ენა არის ქართული.

პირობითი აკრედიტაციის შემდეგ აღნიშნულ პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები: საბაზისო საბუნებისმეტყველო, ქცევითი და სოციალური 99 კრედიტი და კლინიკური მეცნიერებების 201 კრედიტი. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და მიზნებს. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად მოხდა ახალი სასწავლო კურსების და მოდულების დამატება (მაგ. „სტომატოლოგიის ასისტენტი,“ „კომუნიკაციური უნარ-ჩვევები“), ზოგიერთი სასწავლო კურსის მოდიფიცირება. გაძლიერდა ინტეგრირების ხარისხი, კლინიკურ კურსებში გაიზარდა პრაქტიკული კომპონენტის ხანგრძლივობა. საგამოცდო შეფასების სისტემის სრულყოფის მიზნით დაიგეგმა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) შეფასების სისტემის უფრო ფართოდ გამოყენება, რაც ასახულია შესაბამის სილაბუსებში. კლინიკური პრაქტიკის სასწავლო კურსების შესაფასებლად განისაზღვრა პროცედურულ უნარებზე პირდაპირი დაკვირვების მეთოდი (DOPS) და მინი კლინიკური შეფასების სავარჯიშო (Mini-CEXs). სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი გახდა უფრო სისტემური, კომპლექსური და სწავლის შედეგებზე ორიენტირებული. დაინერგა სწავლებისა და შეფასების ელექტრონული ინსტრუმენტი Turnitin, გაუმჯობესდა და კიდევ უფრო მრავალფუნქციური გახდა სტუდენტური პორტალი. პროგრამით განსაზღვრულ სხვადასხვა სასწავლო კურსებში შეიქმნა და განახლდა სალექციო მასალა/რიდერი.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) განხორციელდა 2022 წლის 24-25 მაისს. ექსპერტთა ჯგუფი წარმოდგენილი იყო შემდეგი შემადგენლობით: ვლადიმერ მარგველაშვილი (თავმჯდომარე), ქეთევან ნანობაშვილი (წევრი), ვერა ხუნდაკიშვილი (წევრი), თამარ გვიანაშვილი (წევრი), მირანდა ნონიკაშვილი (წევრი), სოფო ქურასბედიანი (წევრი).

ვიზიტის დროს შედგა ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

შეფასების პროცესი მიმდინარეობდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის თანახმად. ყველა დაგეგმილი აქტივობა შესრულდა. დაწესებულებამ შეფასების პროცესში წარმოადგინა დამატებით მოთხოვნილი ექსპერტთა ჯგუფისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანი მასალები.

შეფასების პროცესი მიმდინარეობდა საქმიანი დისკუსიის, აკადემიურ, პროფესიონალურ და თანამშრომლობით ფორმატში, დარგობრივი მსჯელობა იყო მრავალმხრივი და არგუმენტირებული. სააკრედიტაციო ვიზიტმა ჩაირა კეთილგანწყობილ და კოლეგიალური მხარდაჭერის ფარგლებში.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარდგენილ იქნა უნივერსიტეტის წარმომადგენლების წინაშე საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ვიზიტის პროცესში ექსპერტთა მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

№	სტანდარტი	შეფასება
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია სტანდარტებთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია სტანდარტებთან

▪ **რეკომენდაციები**

- რეკომენდებულია სასწავლო პროგრამის სილაბუსებში დაკორექტირდეს წინაპირობები;
- რეკომენდებულია სასწავლო პროგრამის სილაბუსებში დაკორექტირდეს სწავლის შედეგები;
- რეკომენდებულია სასწავლო პროგრამის სილაბუსებში მეცადინეობების მიხედვით ჩაიშალოს პრაქტიკული სამუშაოს აღწერა;
- რეკომენდებულია პროგრამის განმახორციელებლებს ჩაუტარდეს დამატებითი კონსულტაციები/ტრენინგები/სხვ. ისეთ საკითხებზე, როგორცაა სწავლის შედეგების მკაფიოდ ჩამოყალიბების და მათი გაზომვადობის მნიშვნელობა. ასევე, აუცილებელია პროგრამის განმახორციელებლებთან ერთად დამატებით განხილულ იქნეს პროგრამის/პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგები მათი გაზომვადობის (მიღწევის დადასტურების შესაძლებლობის) ჭრილში.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია სტუდენტთა მეტი ჩართულობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში;
- სასურველია სასწავლო პროგრამის სილაბუსებში დაკორექტირდეს ხარვეზები, კერძოდ სალექციო მასალის მიხედვით მითითებული იყოს კონკრეტული სახელმძღვანელო ძირითადი თუ დამხმარე ლიტერატურიდან;
- სასურველია სტომატოლოგიის პროგრამის მიმართულებით დაინერგოს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან პარტნიორობა და ურთიერთთანამშრომლობა, რაც გააძლიერებს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებას და ხელს შეუწყობს გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობას;
- გაძლიერდეს და წახალისდეს სტუდენტების მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სხვადასხვა კვლევით პროექტებში სტომატოლოგიის მიმართულებით.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- პროგრამა მოიცავს სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებულ დამოუკიდებელ სასწავლო კურსებს.
- პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსები: „სტომატოლოგიური კლინიკის მართვა“, „ლიდერობა ჯანდაცვაში“, „სტომატოლოგიის ასისტირება“.
- გაზრდილია პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლება.
- დაიხვეწა პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების სისტემა.
- ხარისხის მართვის სისტემის განვითარების მზაობა და ხელშეწყობა, მათ შორის უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან შესაბამის დაფინანსების მეშვეობით.

▪ **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად მოხდა ახალი სასწავლო კურსების და მოდულების დამატება (მაგ. „სტომატოლოგიის ასისტენტი,“ „კომუნიკაციური უნარ-ჩვევები“), ზოგიერთი სასწავლო კურსის მოდიფიცირება. გაძლიერდა ინტეგრირების ხარისხი, კლინიკურ კურსებში გაიზარდა პრაქტიკული კომპონენტის ხანგრძლივობა.

დაინერგა სწავლებისა და შეფასების ელექტრონული ინსტრუმენტი Turnitin, გაუმჯობესდა და კიდევ უფრო მრავალფუნქციური გახდა სტუდენტური პორტალი. პროგრამით განსაზღვრულ სხვადასხვა სასწავლო კურსებში შეიქმნა და განახლდა სალექციო მასალა/რიდერი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს და სტრატეგიულ გეგმას. ისინი ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და საერთაშორისო დასაქმების ბაზრის ტენდენციებს, ასევე სახელმწიფოს და საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული და ჩამოყალიბებული, ლოგიკურ კავშირშია შედეგებთან, მიღწევადი და განხორციელებადია და შეესაბამება დაწესებულების მისიას.

პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია, ითვალისწინებს სტუდენტების, უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგებს და რეკომენდაციებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს.

სწავლის, სწავლებისა და შეფასების პროცესში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, ემსახურება კრიტიკული აზროვნების, ეთიკური და პროფესიული ღირებულებების, ზოგადტრანსფერული უნარების გამომუშავებას და შესაბამისად, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე დიპლომირებული სტომატოლოგის მომზადებას.

პროგრამა ამზადებს მაღალი ზნეობრივი ღირებულებების ზოგადად ერუდირებულ, ეთიკური ნორმების და დეონტოლოგიის პრინციპების მქონე სპეციალისტს, სამედიცინო მეცნიერების პროგრესის ათვისების, ახალი ორიგინალური იდეების შემუშავების უნარით და ცოდნის შემდგომი განვითარების შესაძლებლობებით.

საგანმანათლებლო პროგრამა, თავისი კომპონენტების ერთობლიობით, უნივერსიტეტის არსებული აკადემიური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებით რეალისტური და მიღწევადია.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია დანართი 1.1.1; ○ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა დანართი 1.1.2; ○ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა დანართი 1.1.3; ○ ფაკულტეტის დებულება დანართი 1.1.4; ○ დადგენილება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ დანართი 1.1.5; ○ შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა დანართი 1.1.6; ○ დასაქმების ბაზრის კვლევა (სტომატოლოგია) დანართი 1.1.7; ○ ხელშეკრულებები და მემორანდუმები კლინიკებთან დანართი 1.1.8; ○ სამუშაო ჯგუფის ოქმი დანართი 1.1.9; ○ სამუშაო ჯგუფის ოქმი დანართი 1.1.10; ○ სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა დანართი 1.1.11.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ○ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის „სტომატოლოგია“ სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს, რომლებსაც კურსდამთავრებული ფლობს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადია, შეესაბამება დარგის სპეციფიკასა და საჭიროებებს, დამსაქმებელთა პროფესიულ მოთხოვნებს. დარგობრივი შედეგების გარდა, პროგრამაში გათვალისწინებული</p>

ლია ზოგადი კომპეტენციები. სასწავლო კურსების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული და კვალიფიკაციის ჩარჩოსა და დარგობრივ მოთხოვნათა შესაბამისი ცოდნისა და უნარების კურსდამთავრებულის გამოშვებას, რომელთაც გათავისებული აქვთ მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობა. საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ათვისების შემთხვევაში კურსდამთავრებული გადის ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებზე: საბაზისო საბუნებისმეტყველო, ქცევითი, სოციალური და კლინიკური მეცნიერებების ცოდნაზე და კომპეტენციებზე.

უნივერსიტეტი ორიენტირებულია პროგრამის მუდმივ განვითარებაზე თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამის სწავლის შედეგების ადეკვატურობა, მიღწევადობა და შესაბამისობა სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო, პრაქტიკულ თუ კლინიკურ კომპონენტებთან ასახულია თითოეული სასწავლო კურსისთვის თანდართული სწავლის შედეგების რუკით, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კომპონენტის ურთიერთმიმართებას პროგრამის სწავლის შედეგებთან.

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად ჩართულია ხარისხის კონტროლის სხვადასხვა მექანიზმები სასწავლო პროცესის მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოიყენება პროგრამის სამიზნე ნიშნულები. უნივერსიტეტის რესურსების გათვალისწინებით, სწავლის შედეგების შეფასებით გამოვლენილი მიგნებების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან მათი დადარება რეალისტურია და გაზომვადია. პროგრამის სწავლის შედეგების შესამოწმებლად გამოყენებულია თეორიული და კლინიკური უნარების დამადასტურებელი გამოცდები, შეფასების ფორმები არის მრავალფეროვანი, ფასდება არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, OSCE გამოცდის ფორმატით. სწავლის მეთოდებში აქცენტი კეთდება CBL და PBL სწავლების მეთოდებზე.

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განვითარების პროცესებში დამსაქმებელთა ჩართულობის მაჩვენებელი მაღალია. პროგრამის შეფასების ერთ-ერთი კომპონენტია ჩართული პერსონალისა და სტუდენტების უკუკავშირის ანალიზი, რაც ყველაზე ობიექტურად და თვალნათლივ ავლენს პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ქმნის პლატფორმას პროგრამის დინამიკური განვითარებისთვის. პროგრამის განხორციელების ერთ-ერთი თვლადი ინდიკატორი კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და ასევე, მათი კარიერული წინსვლის ანალიზია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა დანართი 1.2.1;
- სასწავლო კურსების სილაბუსები დანართი 1.2.2;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა დანართი 1.2.3;
- სამუშაო ჯგუფის ოქმი, სამიზნე ნიშნულები დანართი 1.2.4;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა დანართი 1.2.5;
- საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგები დანართი 1.2.6;
- შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა დანართი 1.2.7;
- დასაქმების ბაზრის კვლევა (სტომატოლოგია) დანართი 1.2.8;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის მასალები დანართი 1.2.9;

<ul style="list-style-type: none"> ○ ბაზრის კვლევის ანალიზი, დამსაქმებელთა შეხვედრის ოქმი დანართი 1.2.10; ○ პერსონალის გამოკითხვის შედეგები დანართი 1.2.11; ○ სტუდენტების გამოკითხვის შედეგები დანართი 1.2.12.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o სასურველია სტუდენტთა მეტი ჩართულობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამა მოიცავს სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებულ დამოუკიდებელ სასწავლო კურსებს. ○ პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსები: „სტომატოლოგიური კლინიკის მართვა“, „ლიდერობა ჯანდაცვაში“, „სტომატოლოგის ასისტირება“. ○ გაზრდილია პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლება. ○ დაიხვეწა პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების სისტემა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა, ხელმისაწვდომია და უზრუნველყოფს იმ პირთა სტომატოლოგიის პროგრამაზე მიღებას, ვისაც გავლილი აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდები. აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით მიღებული წესისა და „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად.</p> <p>პროგრამაზე ჩარიცხვა შეუძლია სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში „ბსუ-ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“ მიხედვით - განცხადების საფუძველზე. უცხო ქვეყნის მოქალაქე პროგრამაზე ირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უმაღლეს სასწავლებელში მიღების წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“). ასევე შესაძლებელია სტომატოლოგიურ პროგრამაზე გადასვლა შიდა საუნივერსიტეტო მობილობის საშუალებით პირველი სემესტრის დახურვის შემთხვევაში. გარე მობილობისას კი - პირველი სასწავლო წელს სწავლის დასრულების შემდგომ. მობილობით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში 2-ჯერ აღნიშნულისთვის შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილ ვადაში, რასაც სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. მსურველი სტუდენტების ჩარიცხვა ხორციელდება მათ მიერ პირველ ან/და მეორე სემესტრში მიღებული კრედიტების პროგრამასთან მოპოვებული თავსებადობის აღიარებით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> o საგანმანათლებლო პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი o ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>

-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
<p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სსიპ - ბათუმის, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს და უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის შესაბამისად.</p> <p>პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შემადგენელი მოდულების შინაარსთან.</p> <p>პროგრამაზე სწავლების ხანგრძლივობა არის 10 სემესტრი. პროგრამა მოიცავს 300 კრედიტს. სავალდებულო და არჩევითი დისციპლინების კრედიტების თანაფარდობა შეადგენს 289/11. პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან და ევროპის კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემასთან. 1 კრედიტი შეესაბამება 25 ასტრონომიულ საათს, წელიწადში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს არა უმეტეს 75 კრედიტისა. აღნიშნულს ხელს უწყობს უნივერსიტეტში მოქმედი პორტალი, სადაც პროგრამულად რეგულირდება საგნების არჩევის პროცესი სტუდენტის მიერ (ინტერვიურების შედეგი).</p> <p>პროგრამის ფარგლებში კურსებისა და მოდულების თანმიმდევრობა ლოგიკურია, თუმცა სილაბუსებში ტექნიკურ ხარვეზს წარმოადგენს დაუზუსტებელი წინაპირობები. ასევე ყურადსაღებია მაღალ კურსებზე გათვალისწინებულ საგნებში წინაპირობებად დაბალ კურსებზე გავლილი საგნის მოაზრება. მაგალითად, საგანი „ორთოპედიის პროპედევტიკა“, რომელსაც სტუდენტი გადის მე-5 სემესტრში წარმოადგენს მე-6 და ასევე მე-7 სემესტრში დაგეგმილი საგნების წინაპირობებს „მოუხსნელი-ორთოპე-</p>

დიული-კონსტრუქციები“ (მე-6 სემესტრი) და „მოსახსნელი-ორთოპედიული-კონსტრუქციები“ (მე-7 სემესტრი). უკეთესი იქნებოდა, აღნიშნული საგნები არსებული თანმიმდევრობით ერთმანეთის წინაპირობას რომ წარმოადგენდეს.

ასევე მთელ რიგ საგნებში ლიტერატურა არ არის განაწილებული სალექციო მასალის მიხედვით, რაც ინტერვიურების შემდეგ განისაზღვრა ტექნიკურ ხარვეზად და ექვემდებარება დაკორექტირებას. ასეთი საგნებია: „ჯანდაცვის პროგრამების მენეჯმენტი“, „შინაგანი სნეულებანი 1“, „ყბა სახის მიდამოს ტრავმატოლოგია“, „ქირურგიული სტომატოლოგია“, „ვარმაკოლოგია სტომატოლოგიაში“, „სტომატოლოგიური კლინიკის მართვა“, „სტომატოლოგის-ასისტირება-პრაქტიკა“, „სასამართლო მედიცინა“, „სამეცნიერო კვლევის საფუძვლები“, „სამედიცინო ტურიზმი საფუძვლები“, „სამედიცინო ინფორმატიკა, ბიოსტატისტიკა“, „სამედიცინო ბიოქიმია“, „საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ეპიდემიოლოგია“, „სადაზღვევო საქმის საფუძვლები“, „ოფთალმოლოგიის საფუძვლები“, „ნევროლოგია ნეიროსტომატოლოგია“, „მოუხსნელი ორთოპედიული კონსტრუქციები“, „მოსახსნელი ორთოპედიული კონსტრუქციები“, „მოდული-მორფოლოგია“, „მოდული პაროდონტოლოგია“, „მოდული - ონკოლოგია“, „მოდული - მიკრობული სამყარო და იმუნური თავდაცვა“, „მოდული - იმპლანტოლოგია“, „მედიცინის სამართალი“, „ლიდერობა ჯანდაცვაში“, „კომუნიკაცია სტომატოლოგიაში“, „კლინიკური ყბა-სახის ქირურგია“, „კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია“, „კლინიკური ლაბორატორია“, „კლინიკური უნარ-ჩვევები“, „კლინიკური უნარები“, „კლინიკური ოდონტოლოგია და ენდოდონტია“, „ზოგადი ქირურგია და ქირურგიული მანიპულაციები“, „ზოგადი გენეტიკა“, „ენდოკრინოლოგიის საფუძვლები“, „ენდოდონტიის პროპედევტიკა“, „დერმატო-ვენეროლოგიის საფუძვლები“, „ანთროპოეკოლოგია სამედიცინო მიმართულებისთვის“, „ანესთეზია, რეანიმატოლოგია“, „ალერგოლოგია“, „ადამიანის ნორმალური ანატომია ფიზიოლოგია“, „ადამიანის ნორმალური ანატომია ფიზიოლოგია-2“.

აღსანიშნავია, რომ ბსუ-ს სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია ათი ძირითადი სწავლის შედეგი, რომელიც ზოგადია და არ არის ფოკუსირებული სტომატოლოგიის დარგის ვიწრო სპეციალობებზე, რაც პროგრამის დადებით მხარეს წარმოადგენს. პროგრამის მოდულების შინაარსი აკმაყოფილებს შედეგებში გაწერილ მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამა იწყება საბაზისო საგნებით და პრეკლინიკური სპეციალობებიდან, ვერტიკალური ინტეგრაციის პრინციპით, გადადის კლინიკური საგნების სწავლებაზე, რაც შემდეგ ლოგიკურად მთავრდება ბოლო სემესტრში პაციენტებთან პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებით. აღნიშნული პროგრამის შინაარსს აკმაყოფილებს. კერძოდ, შედეგებში გაწერილია რომ სტუდენტს ეცოდინება სტომატოლოგიური დაავადებების გამომწვევი მიზეზები, შეძლებს დაავადების დიაგნოსტიკას, მკურნალობის გეგმის შედგენას და მარტივი მანიპულაციების ჩატარებას. პროგრამის შესახებ ინფორმაცია ღია და გამჭვირვალეა. ნებისმიერ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს პროგრამას, მის სტრუქტურას და დაშვების წინაპირობებს. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია თითოეული მოდულზე დაშვების წინაპირობები,

<p>რასაც განსაკუთრებით უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პორტალი. აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება, ასევე, ხდება აკადემიური პერსონალის მიერ პირველივე ლექციაზე, რაც ინტერვიუს შედეგად დაზუსტდა.</p> <p>ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის მიმართულებით პროგრამის შემუშავების, განვითარების და მონიტორინგის მიზნით შემუშავებულია სამუშაო ჯგუფი, პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური პერსონალის, სტუდენტების და კურსდამთავრებულის ჩართულობით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა ○ სასწავლო კურსის სილაბუსები ○ წინაპირობების მატრიცა ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სასურველია სასწავლო პროგრამის სილაბუსებში დაკორექტირდეს ხარვეზები, კერძოდ სალექციო მასალის მიხედვით მითითებული იყოს კონკრეტული სახელმძღვანელო ძირითადი თუ დამხმარე ლიტერატურიდან.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გათვალისწინებული და შესრულებული იქნა 2020 წლის ექსპერტთა საბჭოს მიერ გაცემული ისეთი რეკომენდაციები, როგორცაა - პროგრამის შემადგენელი მოდულებისა და სასწავლო დისციპლინების შედეგების გათვალისწინებით პროგრამის სწავლის შედეგების დაკორექტირება, სტომატოლოგიის ვიწრო სპეციალობებზე მორგება და პროგრამის კვალიფიკაციის განმსაზღვრელი მახასიათებლების ჩამოყალიბება
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის
--

სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ცალკეული კომპონენტებისაგან, რომელთაგან თითოეული ითვალისწინებს სილაბუსში გაწერილი კომპონენტების მიღწევას.

სასწავლო კურსის კრედიტები გათვლილია თემატიკასთან შესაბამისობაში. სასწავლო კურსების უმეტესობაში წინაპირობები, მიზნები და სწავლის შედეგები ადექვატურადაა განაწილებული და ურთიერთშეთანხმებული.

თუმცა, არსებობს რიგი სილაბუსებისა, სადაც დაფიქსირდა შეუსაბამობა: სწავლის შედეგების განსაზღვრება ზოგადია, მიზნებთან შეუსაბამობაშია. მაგალითად საგანი „ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებები“, რომლის მიზნებში გარკვევითაა განსაზღვრული, რომ საგნის მიზანია სტუდენტს ღრმად და საფუძვლიანად შეასწავლოს ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებების პათოლოგიური საფუძვლები, ინსტრუმენტალური კვლევის მეთოდები და კლინიკო-ლაბორატორიული, კლინიკური სიმპტომო-კომპლექსის გამოსავლის და სამკურნალო მეთოდები - შემთხვევათა განუმეორებლობის და ინდივიდუალობის გათვალისწინებით, გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა ურგენტულ სიტუაციაში. ამავე სილაბუსში შედეგებში გაურკვეველია ცოდნა, რასაც შეიძენს სტუდენტი საგნის გავლისას, უნარები არაა დიფერენცირებული, ხოლო ავტონომიურობა და პასუხსმგებლობა არ ისაზღვრება: „შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტი დისციპლინურ გარემოში მოქმედება; შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით“. მსგავსი შეუსაბამობები აღინიშნება შემდეგი საგნების სილაბუსებში: „ფიზიოთერაპია“, „სასამართლო მედიცინა“, „სამედიცინო ქიმია“, „სამედიცინო ფსიქოლოგია“, „მოდული-მორფოლოგია“, „ინფექციური დაავადებები“, „ინგლისური ენა A 2.1“, „ინგლისური ენა B2.1.1“, „ინგლისური ენა B1.1“, „დერმატო-ვენეროლოგიის საფუძვლები“, „დამწყები Beginner“, „ბავშთა ასაკის ქირურგიული სტომატოლოგია“. თუმცა, ინტერვიუების დროს, პროგრამის ხელმძღვანელთან და საგნის პედაგოგებთან გასაუბრებისას, ნათელი გახდა, რომ აღნიშნული დაუზუსტებლობა მხოლოდ ტექნიკური პრობლემაა, რომელიც შეიძლება დაკორექტირდეს.

საგნების უმეტესობაში წინაპირობები, ასევე, არ არის გასაგები და ბუნდოვანია. არსებობს სილაბუსები, სადაც არ არის მითითებული წინაპირობა. სასურველია დაკორექტირდეს. ასეთ საგნებს წარმოადგენს: „სამედიცინო ეთიკა დეონტოლოგია“, „ოფთალმოლოგიის საფუძვლები“, „ორთოპედიული სტომატოლოგიის პროპედევტიკა“, „ორთოდონტიის პროპედევტიკა“, „მოდული - მიკრობული სამყარო და იმუნური თავდაცვა“, „მედიცინის სამართალი“, „დერმატო-ვენეროლოგიის საფუძვლები“. ხოლო საგანში „პედაიატრიის საფუძვლები, რომელიც განსაზღვრულია როგორც სავალდებულო საგანი არ არის მითითებული არც სემესტრი, ხოლო წინაპირობები - არ აქვს. სასურვე-

ლია განისაზღვროს კონკრეტული სემესტრი და რა თქმა უნდა, საგანზე დაშვების წინაპირობაც.

პროგრამაში ძირეული ცვლილებები ჩატარდა წინა სააკრედიტაციო კომისიის რეკომენდაციების გასატარებლად, რაც ნათლად ჩანს პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებაში სასწავლო პროგრამის ფარგლებში. თუმცა, არის საგნების სილაბუსები, სადაც პრაქტიკული კომპონენტი შინაარსში არ ჩანს, შედეგებში კი სწორედ პრაქტიკული უნარების გაძლიერება აღინიშნება. სასურველია, ასეთ სილაბუსებში უფრო დაწვრილებით იყოს ჩაშლილი საფანტომო აქტივობის განაწილება მეცადინეობების მიხედვით, რაც კიდევ უფრო ნათელს გახდის იმ ინფორმაციას, თუ რა საშუალებით გამოიმუშავებს სტუდენტი კონკრეტულ საგანში კონკრეტული მანიპულაციის ჩატარების უნარს. ასეთი საგნებია: „ბავშვთა და მოზრდთა პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგია“, „ბავშვთა ასაკის ოდონტოლოგია და ენდოდონტია“, „ანესთეზია, რეანიმატოლოგია“.

მიუხედავად აღნიშნული ხარვეზებისა, რომელიც ადვილად დაექვემდებარება დაკორექტირებას, პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტი გავა შედეგზე, რომელსაც ითვისებისწინებს სასწავლო პროგრამა. ინტერვიურების საფუძველზე დაზუსტდა პრაქტიკული მეცადინეობისას ჩასატარებელი აქტივობების თანმიმდევრულობა და მათი შეფასების ზუსტი აღწერა. სასურველია აღნიშნული ხარვეზები დაკორექტირდეს.

ყურადსაღები და მისასალმებელია სასწავლო პროგრამის ბოლოს სემესტრში კლინიკური აქტივობის კომპონენტის ჩართვა, რაც კიდევ უფრო გაამყარებს კლინიკური საგნების სწავლის პროცესში მიღებულ შედეგებს და თეორიული საფუძველით მიღებული ცოდნის კლინიკურ პრაქტიკაში იმპლიმენტირების უნარს განუვითარებს მომავალ სპეციალისტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები
- სწავლის შედეგების რუქა
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო პროგრამის სილაბუსებში დაკორექტირდეს წინაპირობები;
- რეკომენდებულია სასწავლო პროგრამის სილაბუსებში დაკორექტირდეს სწავლის შედეგები;
- რეკომენდებულია სასწავლო პროგრამის სილაბუსებში მეცადინეობების მიხედვით ჩაიშალოს პრაქტიკული სამუშაოს აღწერა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- სასწავლო პროგრამის ბოლოს სემესტრში კლინიკური აქტივობის კომპონენტის ჩართვა, რაც კიდევ უფრო გაამყარებს კლინიკური საგნების სწავლის პროცესში მიღებულ შედეგებს და თეორიული საფუძვლებით მიღებული ცოდნის კლინიკურ პრაქტიკაში იმპლიმენტირების უნარს განუვითარებს მომავალ სპეციალისტებს

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა მორგებულია თანამედროვე სტანდარტებს. მისი გავლისას სტუდენტი საბაზისო თეორიული საგნებიდან თანმიმდევრულად გადადის სპეციალობის საგნებზე. თეორიული ცოდნის გამყარების შემდეგ, ცოდნის პრაქტიკაში იმპლემენტირების საშუალება ეძლევა. ამ პროცესს სტუდენტი იწყებს საგნით „სტომატოლოგიის ასისტირება“, სადაც ის პასიური პრაქტიკის - ობსერვატორის როლში გამოდის კლინიკური მანიპულაციების ჩატარებისას. ამავე დროს აკვირდება ინსტრუმენტებს, პროცედურების თანმიმდევრობას და კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებას იწყებს.

შემდგომ კურსებზე (IX, X სემესტრი) მიმდინარეობს უშუალო ტრანსფერი კლინიკური მუშაობისას ისეთი საგნების გავლისას, როგორცაა კლინიკური-პრაქტიკა პედიატრიულ სტომატოლოგიაში, „კლინიკური-ორთოპედიული-სტომატოლოგია“, „კლინიკური პრაქტიკა - მოზრდილთა სტომატოლოგიაში“, „კლინიკური პედიატრიული სტომატოლოგია“. აღნიშნული საგნები ლოგიკურად სრულდება OSCE-ის გამოცდით, სადაც სტუდენტს საშუალება ეძლევა შექმნილი უნარების დემონსტრირებისა, კურსის განმახორციელებელს კი - მათი რევალენტური შეფასებისა.

უნივერსიტეტში ვიზიტის განმავლობაში ჩატარებული ინტერვიუებისას ასევე გამოიკვეთა სტუდენტების აკადემიური აქტივობა, რომელსაც აკადემიური პერსონალი თუ მოწვეული პედაგოგები უწევენ სუპერვიზირებას. კლინიკური კურსები ხორციელდება საუნივერსიტეტო კლინიკურ ბაზებსა და კლინიკებში, რომლებიც თანამშრომლობენ უნივერსიტეტთან მემორანდუმის ფარგლებში.

<p>პროგრამის სტუდენტებს უნივერსიტეტიდან აქვთ ხელშეწყობა, რასაც ადასტურებს კვლევაზე ორიენტირებული სასწავლო კურსები - სამედიცინო ინფორმატიკა, ბიოსტატისტიკა, სამეცნიერო კვლევის საფუძვლები.</p> <p>სტუდენტთა კვლევითი პროექტების განხორციელებას ხელმძღვანელობენ აკადემიური პერსონალი და მოწვეული მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიან სამეცნიერო ნაშრომების სტრუქტურას, ლიტერატურაზე დამოუკიდებელ მუშაობას, ინფორმაციის მოძიებას და ა.შ.</p> <p>ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით აკადემიური პერსონალი ახორციელებს სტუდენტთა ჩართულობას პროფესიულ ასოციაციებში. სტუდენტები იღებენ მონაწილეობას ტრენინგებში და კონგრესებში. თუმცა, ინტერვიუების საფუძველზე დაზუსტდა, რომ სტუდენტებს არ აქვთ საერთაშორისო კონფერენციებსა თუ აქტივობებში მიღებული მონაწილეობა, რასაც ასევე არსებული დოკუმენტაცია ადასტურებს. შესაბამისად სასურველი სტუდენტთა აქტივობის ამ კონკრეტული მიმართულების გააქტიურება, რაც შესაძლებელია სხვადასხვა საერთაშორისო ასოციაციებთან თანამშრომლობისა და სტუდენტთა გაცვლის პროგრამების გაძლიერებით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ინტერვიუს შედეგები ○ მემორანდუმის დოკუმენტი o პროგრამის ბიუჯეტი ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ბსუ-ვებ გვერდი
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სასურველია საერთაშორისო უნივერსიტეტებთან მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართულობა.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გათვალისწინებული იქნა წინა სააკრედიაციო საბჭოს რეკომენდაციები და საგანმანათლებლო პროგრამაში გააქტიურდა პრაქტიკული კომპონენტი.
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p> <p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში სამუშაო ჯგუფმა იხელმძღვანელა აკადემიური საბჭოს 2017 წლის N37 დადგენილება „ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ და დაგეგმა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლის მეთოდები.

სწავლების თანამედროვე მეთოდების სრულყოფის მიზნით განხორციელდა ტრენინგები „სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდები“, „სწავლის აქტიური მეთოდების გამოყენება ონლაინ სწავლების დროს“, „შეფასების ახალი მეთოდები სამედიცინო განათლებაში - OSCE, OSPE“.

პროგრამის ფარგლებში დასახული მიზნების განსახორციელებლად და შედეგებზე გასასვლელად გამოიყენება თეორიული, პრაქტიკული მეცადინეობები. პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათები მოიცავს ლექციებს, პრაქტიკულ მეცადინეობებს, ლაბორატორიულ სწავლებას, სემინარებს. პროგრამის ფარგლებში სწავლა/სწავლების მეთოდების კიდევ უფრო დახვეწის მიზნით დაემატა ახალი თანამედროვე მეთოდები და მოხდა არსებულის კორექტირება. პრაქტიკულ მეცადინეობაზე გამოიყენება დისკუსია-დებატების მეთოდი, პრეზენტაცია.

ზოგიერთ საგანში, სალექციო მასალის ჩანაცვლება მოცდა ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორცაა PBL; პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტიურად გამოიყენება CBL, როლური თამაშები. პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსებში აქტიურად გამოიყენება სწავლების ვერბალური მეთოდები - დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი. სოციალური თანამშრომლობითი სწავლება, გონებრივი იერიში, ვიცი-მინდა ვიცოდეთ-ვისწავლე, წერა - სწავლების მეთოდი, ვენის დიაგრამა, სიტუაციური ამოცანები, დემონსტრირების მეთოდი, პაციენტი ცენტრში. ყურადღება ექცევა ასევე პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. პროფესიული უნარ-ჩვევების ათვისებას, რომელიც ხორციელდება კლინიკურ ბაზებზე.

აღსანიშნავია, რომ ინსტიტუციამ გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს მიერ უკვე გაცემული რეკომენდაციები და გააფართოვა საფანტომო არსენალი, რაც წარმოადგენილია სტომატოლოგიური მასალებისა და ფანტომების ნასყიდობისა და ნაჩუქრობის დოკუმენტებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o თვითშეფასების ანგარიში
- o საგანმანათლებლო პროგრამა
- o სილაბუსები
- o ინტერვიუს შედეგები
- o მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა 2020 წლის სააკრედიტაციო კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად. პროგრამა შეივსო სწავლების თანამედროვე მეთოდებით. პროფესიული უნარების განვითარებისა და სრულყოფის მიზნით, სასწავლო პროგრამის ბოლო სემესტრში დაემატა მოდულები, რომლის განმავლობაში სტუდენტი კლინიკურ ბაზაზე ლეზულობს პაციენტს და პედაგოგის მეთვალყურეობის ქვეშ ასრულებს სამკურნალო მანიპულაციებს. მანიპულაციათა რაოდენობა მკაცრად განსაზღვრულია სილაბუსით, საგანი ლოგიკურად სრულდება პრაქტიკული უნარების დემონსტრირებით OSCE ტიპის გამოცდის საშუალებით.
შეფასება
<ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
<p>ბსუ-ს სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ ათვისებული ცოდნის შეფასება ხდება შუალედური და დასკვნითი ფორმების მეშვეობით. შეფასების მეთოდები როგორცაა წერითი, ზეპირი, პრაქტიკული და ა.შ. თითოეულ სილაბუსში ინდივიდუალურად არის გაწერილი. გამოცდები ტარდება ზეპირი, ტესტური, პრაქტიკული ან კომბინირებული სახით.</p> <p>სტუდენტი მიერ მიღებული ცოდნის შეფასება ხდება შუალედური და დასკვნითი გამოცდის საშუალებით. ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება წარმოადგენს 100 ქულას, რომელიც შემდეგნაირად ნაწილდება: 60 ქულა - მიმდინარე შეფასება (20 ქულა შუალედური გამცდა), დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა. საგამოცდო ქულის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს წარმოადგენს 21 ქულა, გამონაკლისია კლინიკური პრაქტიკის კურსები, სადაც მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 20 ქულა. რაც შეეხება სპეციალობის კლინიკურ კურსებს, სადაც დასკვნითი გამოცდა ტარდება OSCE-ის საშუალებით - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 25 ქულა.</p> <p>ინტერვიურებისას, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნული ფაქტი განმარტა სტუდენტების მაღალი აქტივობით, რამაც პროპორციულად განაპირობა კომპეტენციის ზღვარის 25 ქულამდე აწევა. აქვე განგვიმარტეს OSCE-ის გამოცდის შეფასების სიტემებიდა</p>

ჩეკ-ლისტები, რომლებიც ვიზიტის პერიოდში გამოთხოვილ დოკუმენტებში არის წარმოდგენილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o თვითშეფასების ანგარიში
- o სილაბუსები
- o საგანმანათლებლო პროგრამა
- o ინტერვიუს შედეგები
- o მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
- o პრაქტიკული უნარების შეფასების დოკუმენტი

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o სასურველია სპეციალობის საგნების სილაბუსებში, სადაც გაწერილი შეფასების კრიტერიუმები, მითითებული იყოს შეფასების რუბრიკები, რათა სტუდენტისთვის თავიდანვე გასაგები იყოს თუ როგორ მოხდება მისი კლინიკური უნარების შეფასება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o პაციენტების მიღება კლინიკურ საგნებში გახდა სავალდებულო, სილაბუსებში გაიწერა ჩასატარებელი მანიპულაციების ზუსტი რაოდენობა

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვიზიტამდე გადმოგზავნილი მასალების, მათ შორის თვითშეფასების ანგარიშის გაცნობისა და ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუების შედეგების მიხედვით, დასტურდება რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც რეგულირდება სტუდენტის სტატუსის მოპოვება, მისი შეჩერების და/ან შეწყვეტა, სტატუსის აღდგენა, განათლების აღიარება, მობილობა, სასწავლო პროცესში პლაგიატის გამოვლინებისა და რეაგირების პროცედურა და კვალიფიკაციის მინიჭების საკითხები ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის საფუძველზე.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ელექტრონული სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა ე.წ. სტუდენტური პორტალი - portal.bsu.edu.ge, რომლის საშუალებითაც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ელექტრონულად პორტალზე გაიარონ სემესტრული რეგისტრაცია და შეამოწმონ საკუთარი მიმდინარე, შუალედური და დასკვნითი შეფასებები, საჭიროებიდან გამომდინარე ელექტრონულად მიიღონ ცნობა მათი აკადემიური აქტივობების შესახებ (მაგ. ნიშნების ფურცელი GPA-ის მითითებით), გაეცნონ პოტენციურ დამსაქმებლებს და აქტიურ ვაკანსიებს, პორტალის საშუალებით შექმნან საკუთარი CV და დაამყარონ კომუნიკაცია დამსაქმებლებთან. თუმცა, ძირითადად ჩამოთვლილი ვაკანსიები არაპროფილურია და არ არის დიფერენცირებული სასწავლო პროგრამების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ძირითადად, დამამთავრებელი კურსის სტუდენტებიც და კურსდამთავრებულებიც ინტერვიუს დროს აღნიშნავენ სტაჟირება-დასაქმების შესაძლებლობას უნივერსიტეტის დახმარებით.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა დამსაქმებელთა მნიშვნელოვანი ჩართულობა პროგრამის მიმდინარეობის და განვითარების პროცესში. ამასთან, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მიერ აღინიშნა, რომ პროგრამაში ბოლო ცვლილებების შედეგად გაიზარდა პრაქტიკის კომპონენტების ნაწილი, რაც პრიორიტეტულია დასაქმებისთვის.

გარდა ამისა, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მიერ დაგეგმილ გამოკითხვებში, გაეცნონ გამოკითხვის შედეგებს და დაამყარონ უნივერსიტეტის პერსონალთან ანონიმური კომუნიკაცია.

<p>ვიზიტის დროს უნივერსიტეტის IT სამსახურის წარმომადგენელმა ზედმიწევნით დეტალურად გვიჩვენა პორტალის შესაძლებლობები.</p> <p>გამოკითხვის შედეგად დადასტურდა, რომ სტუდენტებისთვის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან კომუნიკაციისთვის ძირითადად გამოიყენება პორტალი. ასევე, სტუდენტებს სასწავლო და აკადემიური პროცესის დაგეგმვის შესახებ ან სხვა ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციებს კურატორები უწევენ.</p> <p>სამომავლოდ სასურველია სტომატოლოგიის პროგრამის მიმართულებით დაინერგოს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან პარტნიორობა და ურთიერთთანამშრომლობა, რაც გააძლიერებს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებას და ხელს შეუწყობს გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობას. ასევე, კიდევ უფრო გაძლიერდეს და წახალისდეს სტუდენტების მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სხვადასხვა კვლევით პროექტებში სტომატოლოგიის მიმართულებით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ „ბსუ–სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი” დანართი 2.1.2; ○ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://www.bsu.edu.ge/ ○ ელექტრონული პორტალი - https://portal.bsu.edu.ge ○ ინტერვიუს შედეგები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ მემორანდუმები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სასურველია სტომატოლოგიის პროგრამის მიმართულებით დაინერგოს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან პარტნიორობა და ურთიერთთანამშრომლობა, რაც გააძლიერებს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებას და ხელს შეუწყობს გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობას. ○ სასურველია გაძლიერდეს და წახალისდეს სტუდენტების მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სხვადასხვა კვლევით პროექტებში სტომატოლოგიის მიმართულებით.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
<input type="checkbox"/> არ ფასდება
მტკიცებულებები/ინდიკატორები
-
რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
<input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო საქმიანობისა და სხვა
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; რაც დასტურდება პროგრამაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეებით. აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის თანახმად, კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სამეცნიერო და აკადემიურ თანამდებობებზე პერსონალს ირჩევს რექტორის დამტკიცებული კომისია. შერჩევა ხდება კონკურსის წესით.

პროგრამაში ჩართულია 78 განმახორციელებელი პერსონალი (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული). აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 10 პროფესორს, 19 ასოცირებული პროფესორს, 6 ასისტენტ პროფესორს და 2 ასისტენტს. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 10 პროფესორს, 17 აფილირებული ასოცირებული პროფესორს, 6 აფილირებულ ასისტენტ-პროფესორს და 2 აფილირებულ ასისტენტს. პროგრამაში მონაწილეობს 41 მოწვეული სპეციალისტი. მათ შორის 10 უფროსი მასწავლებელი, შერჩეული პროფესიული პრაქტიკული სტაჟით და პედაგოგიური გამოცდილებით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურ მონაწილეობას იღებს პროგრამის შემუშავების და სრულყოფის პროცესში, სასწავლო კურსის სილაბუსების შედგენასა და განახლებაში. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. თავდაპირველად აკადემიურ საბჭოზე, შემდეგ წარმომადგენლობით საბჭოზე მტკიცდება დადგენილება პერსონალის დატვირთვის და ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა, გამოცდილება და კვალიფიკაცია. არის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; უსდ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის დადგენილებით „ბსუ-ს აკადემიური, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და განვითარების უზრუნველყოფის წესი“ განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის უფლება- მოვალეობები.

ინტერვიუებიდან და თვითშეფასებიდან დგინდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობაზე, აკადემიური ექსპერტიზის შედეგების ანალიზზე, განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის მონიტორინგზე, შეფასების პროცესზე. მუდმივი კონტაქტი აქვს ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურთან, ახორციელებს პროგრამის შიდა და გარე შეფასების მონიტორინგს, აქტიურადაა ჩართული სტუდენტების კონსულტირების პროცესში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ოპტიმალურად შედგენის მიზნით. აკრედიტაციის საბჭოს მიერ უკვე გაცემული რეკომენდაციაა - „პროგრამის ხელმძღვანელს მიეცეს უფლება კლინიკურ საგნებში დარგის სპეციფიკიდან და პაციენტებზე ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად განსაზღვროს ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა“. ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ კლინიკურ დისციპლინებში ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობას განსაზღვრავს კლინიკა.

პრაქტიკული კომპონენტის მიზნებისთვის გაფორმებულია მემორანდუმები, რომლებიც ითვალისწინებენ მისაღები სტუდენტების რაოდენობას:

- ი/მ გრიგოლ გოგუა - 3-6 სტუდენტი;
- შპს „არტდენტი“ - 3-6 სტუდენტი;
- შპს „დენტა-ლუქსი“ – 9-18 სტუდენტი;
- შპს „დენტ-ეფექტ“ – 3-6 სტუდენტი;
- შპს „საოჯახო სტომატოლოგიური ცენტრი - ჩემი სტომატოლოგი“ - 3-6 სტუდენტი;
- შპს „J-smile“ – 4-8 სტუდენტი;
- შპს „ლიდერ-დენტალი“ – 10-15 სტუდენტი;
- შპს „მაი დენტ“ – 3-6 სტუდენტი;
- შპს „მეგა-კომპ“ – 3-6 სტუდენტი;
- შპს „როლი დენტ“ – 3-6 სტუდენტი;
- შპს „ფიმილ დენტისტ“ – 3-6 სტუდენტი

პროგრამის სრულყოფილად განხორციელებაში ადმინისტრაციასთან ერთად მონაწილეობს კვალიფიცირებული დამხმარე პერსონალი. მათ მუდმივი კავშირი აქვთ სტუდენტებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს წესდება
- ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- პროფესორ-მასწავლებლების პირადი საქმეები, ხელშეკრულებები

<ul style="list-style-type: none"> ○ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და განვითარების უზრუნველყოფის წესი“ ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის № 46 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 14 აგვისტოს №06-01/92 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“; ○ პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა ib. www.apa.bsu.edu.ge
რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ატარებს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სასწავლო საქმიანობის შეფასებას. პერსონალის სასწავლო საქმიანობა ფასდება შემდეგი კოპონენტებით:</p> <ul style="list-style-type: none"> - პროგრამისა და სილაბუსების შემუშავებაში ჩართულობა. - საგამოცდო მასალის მომზადება. - სასწავლო მასალის სრულყოფა. - სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა.

სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შესაფასებლად უნივერსიტეტში დადგენილია კლასიფიკატორი - სამეცნიერო ნაშრომის შეფასება ხდება პუბლიკაციების გამოცემის გათვალისწინებით.

აკადემიური და მოწვეული პედაგოგების ნაშრომები ქვეყნდება ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში. ინტერვიუებით დგინდება, რომ ინდექსირებულ ჟურნალებში შესრულებული პუბლიკაციის ავტორები უნივერსიტეტისაგან იღებენ ფულად ჯილდოებს.

აკადემიურ საბჭოს დამკვიცბული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს. პროგრამების განვითარების და შეფასების პროცედურებს, აკადემიური პერსონალის შეფასებას.

უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, უნივერსიტეტში მოქმედებს ინგლისური ენის შესასწავლი კურსები, სადაც თანადაფინანსებით შესამღებელია, რომ ლექტორებმა აიმაღლონ უცხო ენის დონე. რეგულარულად ტარდება ტრენინგები, ინფორმაცია განთავსებულია ელექტრონულ პორტალზე <https://portal.bsu.ge> ბოლოდროინდელი აქტივობებია:

- სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენება ონლაინ სწავლების დროს;
- შეფასების ახალი მეთოდები სამედიცინო განათლებაში.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. უნივერსიტეტის 2020 წლის საგრანტო კონკურსზე დაფინანსება მიიღო აკადემიური პერსონალის კვლევითმა პროექტმა - „ძირითადი სტომატოლოგიური დაავადების ეპიდემიოლოგია ბსუ-ს სტუდენტებში და მათი გამომწვევი რისკ-ფაქტორების შესწავლა“. პროექტში აკადემიურ პერსონალთან ერთად ჩართულები არიან სტომატოლოგიური მიმართულების სტუდენტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ფაკულტეტის ბიუჯეტი
- პროფესორ-მასწავლებელთა პირადი მონაცემები, ხელშეკრულებები;
- ინტერვიუს შედეგები.
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილება - „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“.
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/93 დადგენილება „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“,
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/90 დადგენილება „ბსუ-ს სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით. სასწავლო კორპუსები უზრუნველყოფილია ცენტრალიზებული გათბობის სისტემით, მუდმივი ელექტროენერგიით, სველი წერტილებით, ლიფტით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტუდენტებისათვის მოწყობილია პანდუსები. უნივერსიტეტს აქვს საკონფერენციო, სააქტო და სპორტული დარბაზები, კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, უზრუნველყოფილი ინტერნეტ-სერვისით, სრულყოფილი წიგნადი ფონდი, სილაბუსებით გათვალისწინებული როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ლიტერატურა. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ მოთხოვნილი ქართული და უცხოენოვანი სახელმძღვანელოები დაუყოვნებლივ იქნა წარმოდგენილი.</p> <p>ლაბორატორიები აღჭურვილია მიკროსკოპებით და სხვა საჭირო ინვენტარით. უნივერსიტეტში განახლდა საბაზო სტომატოლოგიური კლინიკა „ბსუ დენტი“, კლინიკაში სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის სასწავლო ორთოპედიის, ოდონტოლოგიის საფანტომო ოთახებია. აგრეთვე რადიოვიზიოგრაფიისა და დეკონტამინაციის კაბინეტებია განთავსებული. კლინიკაში სამედიცინო და ფინანსური დოკუმენტაციის წარმოება ხორციელდება ელექტრონული პროგრამის "MEDWORK" საშუალებით. საუნივერსიტეტო კლინიკაში „ბსუ დენტი“ კლინიკურ სწავლებასთან ერთად შესაძლებელია პაციენტთა მიღება;</p> <p>აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებში მითითებულია სტუდენტების არსებული რაოდენობის მიხედვით პროგრამით გათვალისწინებული საფანტომო მასალების შექმნა. ვიზიტის დროს წარმოგვიდგინეს სტომატოლოგიური მასალების, სასწავლო ინვენტარის, ფანტომების შესყიდვის დოკუმენტი-სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №97, რომელიც გაფორმდა ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად შპს „მედინიუსთან“ 18 876 ლარის ღირებულების მასალაზე. მიწოდების ვადაა</p>

<p>01.08.2022</p> <p>ვიზიტის დროს წარმოგვიდგინეს 18.08.2020-ში გაფორმებული მემორანდუმი შ.პ.ს. „დენტაშოპ“-თან (5წლის ვადით), რაც ითვალისწინებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების მიზნით „საფანტომო იმპლანტაციის“ სასწავლო კურსის ფარგლებში 30 სტუდენტისათვის მულაჟების, სასწავლო ომპლანტების და სხვა საჭირო მასალების მიწოდებას. ვნახეთ ჩუქების დოკუმენტი, სადაც თარიღი არ არის მითითებული ბსუ-ს აქვს აფილირებულ სტომატოლოგიურ კლინიკები:</p> <p>„მედია ბელუსი“, „ბათუმი დენტალი“,</p> <p>მემორანდუმი გაფორმებულია შემდეგ კლინიკებთან</p> <p>შპს „J – smile“, „საოჯახო სტომატოლოგიური ცენტრი - ჩემი სტომატოლოგი“, შპს „ფემილი დენტი“, ი.მ „თინათინ გორგილაძე“, შპს „ლიდერ დენტალ+“, ი.მ. „დათო შავაძე“, „მაი დენტი“, შპს „დენტალ ლუქსი“, „დენტ ეფექტი.“</p> <p>პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს კლინიკური ბაზები.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ○ თვითშეფასების ანგარიში
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებში მითითებულია სტუდენტების არსებული რაოდენობის მიხედვით პროგრამით გათვალისწინებული საფანტომო მასალების შეძენა. ვიზიტის დროს წარმოგვიდგინეს სასწავლო ინვენტარის, ფანტომების, მულაჟების შესყიდვის დოკუმენტი
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
<p>პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ინტერვიუს შედეგებიდან გამომდინარე, აგრეთვე წარმოდგენილი დოკუმენტაციით სტომატოლოგიის პროგრამის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი პასუხობს გეგმის შესაბამისად დასახულ მიზნებს.</p> <p>ბსუ-ს 2022 წლის ერთიან ბიუჯეტში - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსების წყარო: საკუთარი შემოსავლები - 393 750 ლარი (პროგრამაზე სწავლობს 175 სტუდენტი, ერთი სტუდენტის სწავლის საფასური 2250 ლარი). ბიუჯეტის განაწილება ხდება ადეკვატურად და უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტურობას. ბიუჯეტის უდიდესი წილი მოდის საგანმანათლებლო საქმიანობაზე, ხარჯების დასახელება გაწერილია: შრომის ანაზღაურების, სასწავლო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის საჭირო საშუალებების, სახელმძღვანელოების შესაძენად გამოყოფილი თანხა, ბაზების ქირავნობის ხარჯი, პერსონალის ტრენინგების, პუბლიკაციების თანხები და სხვა.</p> <p>წარმოდგენილი ფინანსური რესურსები ეკონომიურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითშეფასების ანგარიში ○ პროგრამის 2022 წლის ბიუჯეტი ○ ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აერთიანებს ცენტრალურ ოფისს და ფაკულტეტებზე შექმნილ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს. მათ საქმიანობას, ფუნქციებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს განსაზღვრავს დაწესებულებაში მოქმედი დოკუმენტები, მათ შორის „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“ და „ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულება“ (მ. 9). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლების განმარტებით, ცენტრალური ოფისი პასუხისმგებელია დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რეგულაციების მომზადებაზე, ხოლო მათი იმპლემენტაცია წარმომადგენს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ფუნქციას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, სამსახურები მოქმედებენ ყოველწლიური სამუშაო გეგმების შესაბამისად, მათ შორის ახდენენ პერსონალის შეფასებას, კონსულტირებასა და ინფორმირებას, მეთოდოლოგიური მიდგომებისა და სიახლეების გაცნობას, აფასებენ პროგრამებს, მათი განხორციელებას და სხვა, რაც გათვალისწინებულია დაწესებულებაში მოქმედი მარეგულირებელი წესებით.

დაწესებულებაში მოქმედებს აკადემიური საბჭოს მიერ დატკიცებული დოკუმენტი „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, რომელიც განსაზღვრავს ხარისხის მართვის მიზნებს, გავრცელების სფეროებს, სახელმძღვანელო პრინციპებს, ხარისხის

პოლიტიკის პრინციპების რეალიზების მექანიზმებს (მაგ., სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება; ადმინისტრაციული, დამხმარე და პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შეფასება-განვითარება; სასწავლო რესურსების შეფასება და სრულყოფა), ამ პროცესებში ჩართული/მონაწილე პირების ვინაობას, მათ ფუნქციებს და სხვ. მითითებული დოკუმენტის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვან ასპექტებს მიეკუთვნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა; სწავლის, სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია; პერიოდული და ეფექტიანი მონიტორინგი, შეფასებისა და რეაგირების სისტემა; დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესების ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“, რომელიც:

- აღწერს საგანმანათლებლო პროგრამების ძირითად მახასიათებლებს და ადგენს შიდა სტანდარტს მათი შინაარსობრივი და ტექნიკური ასპექტების მიმართ (მ.1, 2). ამ წესის დანართებია სილაბუსის მომზადების ინსტრუქცია, პროგრამის სასწავლო გეგმის და სილაბუსის უნიფიცირებული ფორმები.
- ადგენს პროგრამის შემუშავების, შეფასების, დამტკიცების პროცედურებს (მ.3);
- ადგენს პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებს, უფლება-მოვალეობებს და პასუხისმგებლობებს (მ. 3¹);

მითითებული წესი განსაზღვრავს პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცესებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობის საკითხებს, კერძოდ:

- ფაკულტეტის დეკანის მიერ წარდგენილი ინფორმაციისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის საფუძველზე, აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ (მ.3, პ.3);
- ფაკულტეტის დეკანი და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს კურიკულუმის კომიტეტის შემადგენლობასა და სამუშაო გეგმას საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შიდა ექსპერტიზისათვის (მ.3, პ.4);
- კურიკულუმის კომიტეტს ხელმძღვანელობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (მ.3, პ.5);
- ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად წარმართავს პროგრამისა და მისი განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის მონიტორინგს და შეფასების პროცესს (მ. 4, პ. „ა“);
- შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით, ახორციელებს ბსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას (მ.4, 1.).

მითითებული წესის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:

- პროგრამის შეფასების მიზნით - ახორციელებს სასწავლო პროცესის, მათ შორის საგამოცდო პროცესის, მონიტორინგს; ატარებს სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებელი ან/და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვებს. საჭიროების შემთხვევაში ახდენს ინტერვიუებებს; ახორციელებს სასწავლო მასალების განახლების მონიტორინგს; აწარმოებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს; საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს პროგრამის, სასწავლო კურსის სილაბუსისა და შესაბამისი მასალის ექსპერტიზას (მ. 6, პ. 2)
- პროგრამის განვითარების მიზნით - იყენებს პროგრამის შეფასების მიღებულ ინფორმაციას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა საფუძველზე პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს ცვლილებებს ან იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას რეკომენდაციების არგათვალისწინების შესახებ (მ. 6, პ. 3,4).

დაწესებულებაში მოქმედი წესების შესაბამისად, აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით შევიდნენ: პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის წარმომადგენლები, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი. სამუშაო ჯგუფის მიერ: ჩამოყალიბდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა და კომპონენტები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სხვ.; შემუშავდა პროგრამის სწავლის შედეგების რუკა (ასახავს პროგრამის შედეგების ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტებს და მათი მონაწილეობის დონეს - გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება), პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა (მოიცავს ინფორმაციას სწავლის შედეგის ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტების შეფასების პერიოდის შესახებ); განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები (რიცხოობრივი მაჩვენებლები) და შეფასების მეთოდები. ასევე, სამუშაო პროცესში განხორციელდა რესურსებით პროგრამის უზრუნველყოფის საკითხის შესწავლა, შრომის და განათლების ბაზრის შესწავლის და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი, პროგრამის შიდა მონიტორინგი და შეფასება, პროგრამის განმახორციელებლებისა და სტუდენტების გამოკითხვა, სხვადასხვა უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან პროგრამის დადარება და თანხვედრის დადგენა, პროგრამის გარე შეფასება და სხვ. შემდგომ, კურიკულუმის კომიტეტმა განიხილა სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული დოკუმენტები და მიიღო გადაწყვეტილება ფაკულტეტის საბჭოსთვის პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის გადაცემის შესახებ. დაწესებულებაში მოქმედი წესის შესაბამისად, პროგრამა განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმი №27-05/2, 25.02.2022) და დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს (ოქმი №06-01/18, 28.02.2022) მიერ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა ძლიერი მხარეები და გასაუმჯობესებელი ასპექტები, კერძოდ:

- ხარისხის მართვის პრინციპები, მიდგომები და მექანიზმები არის გამჭვირვალე, რელევანტური და ცნობილი ხარისხის უზრუნველყოფაში მონაწილე პირებისათვის (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, ინტერვიუს შედეგებით);

- პროგრამების შემუშავების, შეფასების და განვითარების მიდგომები და მოთხოვნები არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული ერთიანი წესის სახით. აქვე აღსანიშნავია 2 გარემოება: 1) აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის დანართად წარმოდგენილი „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის“ გარკვეული ჩანაწერები/ტერმინები არის არაზუსტი/დღეისათვის გაუქმებული (მაგ.: წესის დანართი „სილაბუსის შედგენის ინსტრუქცია (პ.10), წესის ძირითადი ტექსტი (მ.2, პ. 5, 9, 10, 11), სხვ.); 2) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით, თვითშეფასების ანგარიშის დანართად წარმოდგენილ იქნა მოძველებული დოკუმენტი, ამ ეტაპზე შემუშავებული და შესაბამისი პროცედურის გავლით განხილული და მოწონებულია ახალი დოკუმენტი „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა“, რომელშიც ყველა უზუსტობა/შეუსაბამობა აღმოფხვრილია. აღნიშნული დასტურდება ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტით. (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით, ინტერვიუს შედეგებით);
- პროგრამების შეფასებისთვის გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები და სხვადასხვა მექანიზმები, მათ შორის: არსებულ მოთხოვნებთან პროგრამის შეფასება, რესურსებით უზრუნველყოფის შეფასება, სასწავლო პროცესის შეფასება, ლექციებზე ურთიერთდასწრება, დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების შესწავლა და სხვა, რაც დაადასტურეს ინტერვიუში მონაწილე პირებმა (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროგრამის განმახორციელებლები, დამსაქმებლები). ასევე, გამოიყენება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის როგორც სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება, ისე პერსონალის თვითშეფასება. მიღებული შედეგები გამოიყენება პერსონალის დახელოვნების ხელშეწყობის მიზნით - მაგ., ბოლო პერიოდში (2019-2020) ამ მიზნით ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი (სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები; სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენება ონლაინ სწავლების დროს; შეფასების ახალი მეთოდები სამედიცინო განათლებაში/OSCE, OSPE), რაზეც ინტერვის დროს ისაუბრეს როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა, ისე პროგრამის განმახორციელებლებმა. (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით, ინტერვიუს შედეგებით);
- განხორციელდა პროგრამის გარე შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტის (საქართველოს ერთ-ერთი უსდ-ს წარმომადგენლის მიერ) და პოტენციური დამსაქმებლების მიერ, ასევე პროგრამის დადარება საქართველოს და უცხოეთის უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან. (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით, ინტერვიუს შედეგებით);
- ინტერვიუს დროს თვითშეფასების ჯგუფის წევრები და პროგრამის განმახორციელებლები აღნიშნავენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან მიღებულ მხარდაჭერას. ასევე, ინტერვიუებიდან (თვითშეფასების ჯგუფი, პროგრამის ხელმძღვანელი, განმახორციელებლები, სამუშაო ჯგუფის წევრი სტუდენტი, სხვ.)

ორკვევა, რომ სამუშაო პროცესი მიმდინარეობდა სამუშაო ჯგუფის ყველა წევრის აქტიური ჩართულობით და იყო თანამშრომლობითი, გამჭვირვალე, თანმიმდევრული და დოკუმენტირებული - სამუშაო ჯგუფის საქმიანობის შედეგები აისახა შესაბამის ოქმებში. (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით და ინტერვიუს შედეგებით);

- დაწესებულება ზრუნავს ხარისხის მართვის სისტემის შემდგომ განვითარებაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით, დაწესებულების ერთ-ერთი პრიორიტეტია ხარისხის მართვის სისტემის განვითარება. არსებობს აღნიშნულის მზაობა და შესაძლებლობა, რასაც ადასტურებს დაწესებულების მიერ ვიზიტის დროს დამატებით წარმოდგენილი 2022 წლის ბიუჯეტი, რომლის თანახმად (იხ. გვ.1. „უნივერსიტეტის მართვა და რეგულირება“) ხარისხის მართვის საისტემის განვითარების დაფინანსება შეადგენს 938 436 ლარს, საიდანაც 596 260 ლარი გამოიყოფა დაწესებულების საკუთარი შემოსავლებიდან. (დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, ინტერვიუს შედეგებით).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს დადგენილებით №06-01/91, 14.08. 2019);
- „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“ (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს დადგენილებით №37, 15.06. 2017; შეცვლილია აკადემიური საბჭოს დადგენილებებით: №76, 26.07.2017 და №118, 30.11.2017);
- „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა“ (დანატებით წარმოდგენილი);
- ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულება (დამტკიცებულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით #№4, 17.07.2017);
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“ (დამტკიცებულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით №10, 17.07.2017);
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე (№06-01/29, 05.04.21);
- პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები (№1, 12.04.2021; №2, 17.05.2021; №3, 12.09.2021; №4, 30.09.2021; №5, 01.12.1019; №6, 17.12.2021);
- პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილი კურიკულუმის კომიტეტის ოქმი (№01, 31.01.2022);
- შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა (მედიცინის მიმართულების დამსაქმებლები);
- „დასაქმების ბაზრის კვლევა - სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა“;
- „სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება“;
- „პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვა“;

<ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამების პერსონალის გამოკითხვა (ჩატარებული ტრენინგების შესახებ)“; ○ „სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასება (ზოგადი) - თანამშრომლები“; ○ „სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასება (აკადემიური პერსონალი)“ ○ „დასკვნითი გამოცდების ორგანიზების ხარისხის შეფასება (სტუდენტები)“; ○ „ელექტრონული სასწავლო პროცესის შეფასება (სტუდენტები)“; ○ „სასწავლო პროცესის შეფასება - საგნობრივი (სტუდენტები)“; ○ „საგანმანათლებლო პროგრამის და სტუდენტური სერვისების შეფასება (სტუდენტები, კურსდამთავრებულები)“; ○ „კურსდამთავრებულთა გამოკითხვა“; ○ „შუალედური გამოცდების ორგანიზების შეფასება (სტუდენტები)“; ○ „ONLINE ლექციების თავსებადობა სასწავლო ცხრილთან (სტუდენტები)“; ○ „გაცვლითი პროგრამები - შეფასება (სტუდენტები)“; ○ დამსაქმებელთა გამოკითხვა; ○ სწავლის შედეგების რუკა; ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები; ○ „სწავლა სწავლებისა და შეფასების მეთოდები. 2019“ (https://bsu.edu.ge/sub-11/page/13612/index.html); ○ „სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენება ონლაინ სწავლების დროს. 2022“ (https://www.bsu.edu.ge/sub-11/page/16334/index.html); ○ „შეფასების ახალი მეთოდები სამედიცინო განათლებაში/OSCE, OSPE“ (https://www.bsu.edu.ge/sub-11/page/16332/index.html); ○ გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით №23, 20.02.2018); ○ ბსუ-ში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით #06-01/71, 06.07.2019); ○ ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით №46, 29.07.2017); ○ ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების განხორციელების პოლიტიკა (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით №06-01/90, 14.08.2019); ○ პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა (www.portal.bsu.edu.ge www.apa.bsu.edu.ge); ○ დამსაქმებლების მიერ პროგრამის შეფასება (გამოკითხვა); ○ ბსუ-ს ხარისხის სამსახურის კვლევები (www.portal.bsu.edu.ge); ○ პროგრამის გარე შეფასება (უკუკავშირის წერილი); ○ „სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი“, ქვეპროგრამა „უნივერსიტეტის მართვა და რეგულირება“ (დამატებით წარმოდგენილი); ○ ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ ხარისხის მართვის სისტემის განვითარების მზაობა და ხელშეწყობა, მათ შორის

უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან შესაბამის დაფინანსების მეშვეობით.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება									
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.									
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის გარე შეფასება მოიაზრებს: 1) 2020 წელს აკრედიტაციის პროცესში განხორციელებულ შეფასებას; 2) დაწესებულების ინიციატივით 2022 წელს განხორციელებულ გარე შეფასებას.</p> <p>1) ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას „სტომატოლოგია“ (შემდგომში - პროგრამა) 2020 წელს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) გადაწყვეტილებით (MES 2 20 0000820915; 11/09/2020) მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია. ზემოთ მითითებული გადაწყვეტილების და საბჭოს სხდომის ოქმის (MES 4 20 0000820890, 11/09/2020) თანახმად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ექსპერტთა დასკვნისა და სხდომაზე საკითხის განხილვის შედეგად, საბჭომ შეიმუშავა გარკვეული რეკომენდაციები, რომელთა შესრულება განხორციელდა შემდეგნაირად:</p> <table border="1"> <thead> <tr> <th>საბჭოს რეკომენდაცია</th> <th>შესრულების აღწერა</th> <th>მტკიცებულება</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>ფართოდ დაინერგოს და განხორციელდეს პრაქტიკული კომპონენტი გამოცდებზე</td> <td>პროგრამის კურიკულუმში მითითებულია, რომ „დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა, ტარდება ზეპირი, ტესტური, კომბინირებული ან ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის ფორმით OSCE (მინიმალური დასაშვები შეფასება = 25 ქულა). სტუდენტმა კლინიკური პრაქტიკის სასწავლო კურსების შუალედური შეფასებაში (Mini-CEXs და DOPS) უნდა მიიღოს 31 ქულა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება“. ასევე, კლინიკური სასწავლო კურსების სილაბუსების თანახმად, დასკვნითი გამოცდა ტარდება OSCE-ს გამოყენებით, ხოლო კლინიკური პრაქტიკების შემთხვევაში - კლინიკურ გარემოში სტუდენტის პაციენტთან ინდივიდუალურად შესრულებული სამუშაო ფასდება მინი კლინიკური შეფასების სავარჯიშოთი (Mini-CEXs) და პროცედურულ უნარებზე პირდაპირი დაკვირვების (DOPS) მეთოდებით.</td> <td>პროგრამის კურიკულუმში (გვ. 8); შესაბამისი სილაბუსები</td> </tr> <tr> <td>უფრო ღრმად განხორ-</td> <td>განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პრო-</td> <td>პროგრამის კურიკულ-</td> </tr> </tbody> </table>	საბჭოს რეკომენდაცია	შესრულების აღწერა	მტკიცებულება	ფართოდ დაინერგოს და განხორციელდეს პრაქტიკული კომპონენტი გამოცდებზე	პროგრამის კურიკულუმში მითითებულია, რომ „დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა, ტარდება ზეპირი, ტესტური, კომბინირებული ან ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის ფორმით OSCE (მინიმალური დასაშვები შეფასება = 25 ქულა). სტუდენტმა კლინიკური პრაქტიკის სასწავლო კურსების შუალედური შეფასებაში (Mini-CEXs და DOPS) უნდა მიიღოს 31 ქულა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება“. ასევე, კლინიკური სასწავლო კურსების სილაბუსების თანახმად, დასკვნითი გამოცდა ტარდება OSCE-ს გამოყენებით, ხოლო კლინიკური პრაქტიკების შემთხვევაში - კლინიკურ გარემოში სტუდენტის პაციენტთან ინდივიდუალურად შესრულებული სამუშაო ფასდება მინი კლინიკური შეფასების სავარჯიშოთი (Mini-CEXs) და პროცედურულ უნარებზე პირდაპირი დაკვირვების (DOPS) მეთოდებით.	პროგრამის კურიკულუმში (გვ. 8); შესაბამისი სილაბუსები	უფრო ღრმად განხორ-	განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პრო-	პროგრამის კურიკულ-
საბჭოს რეკომენდაცია	შესრულების აღწერა	მტკიცებულება							
ფართოდ დაინერგოს და განხორციელდეს პრაქტიკული კომპონენტი გამოცდებზე	პროგრამის კურიკულუმში მითითებულია, რომ „დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა, ტარდება ზეპირი, ტესტური, კომბინირებული ან ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის ფორმით OSCE (მინიმალური დასაშვები შეფასება = 25 ქულა). სტუდენტმა კლინიკური პრაქტიკის სასწავლო კურსების შუალედური შეფასებაში (Mini-CEXs და DOPS) უნდა მიიღოს 31 ქულა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება“. ასევე, კლინიკური სასწავლო კურსების სილაბუსების თანახმად, დასკვნითი გამოცდა ტარდება OSCE-ს გამოყენებით, ხოლო კლინიკური პრაქტიკების შემთხვევაში - კლინიკურ გარემოში სტუდენტის პაციენტთან ინდივიდუალურად შესრულებული სამუშაო ფასდება მინი კლინიკური შეფასების სავარჯიშოთი (Mini-CEXs) და პროცედურულ უნარებზე პირდაპირი დაკვირვების (DOPS) მეთოდებით.	პროგრამის კურიკულუმში (გვ. 8); შესაბამისი სილაბუსები							
უფრო ღრმად განხორ-	განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პრო-	პროგრამის კურიკულ-							

ციელდეს ინტეგრირებული სწავლება, დაინერგოს ვერტიკალური და სპირალური ინტეგრაციები	გრამის აგების ლოგიკა ითვალისწინებს ვერტიკალურ და სპირალურ ინტეგრაციებს, გაძლიერებულია ინტეგრირებული სწავლება.	ლუმი (სასწავლო გეგმა); შესაბამისი სილაბუსები
პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების დეტალური კონკრეტიზაცია	პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასება მოიცავს ისეთ მეთოდებს, როგორცაა, მაგალითად, პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასება (DOPS) (მაგ., სასწავლო კურსი „ორთოდონტიის პროპედევტიკა“), პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასება (მაგ. სასწავლო კურსები: „ორთოპედიული სტომატოლოგიის პროპედევტიკა“, „პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები“, „პრეკლინიკური ენდოდონტია“, „პრეკლინიკური ოდონტოლოგია“, „სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა“, „ქირურგიული სტომატოლოგია“, „ანესთეზია, რეანიმატოლოგია“, „ბავშვთა ასაკის ოდონტოლოგია, ენდოდონტია“, „ბავშვთა ასაკის ქირურგიული სტომატოლოგია“, „ზოგადი ქირურგია და ქირურგიული მანიპულაციები“ და სხვ.); ცდის ჩატარება (მაგ., სასწავლო კურსები: „სამედიცინო ბიოქიმია“, „სამედიცინო ქიმია“); სამუშაოს ორგანიზების და შესრულების უნარები (მაგ., „სტომატოლოგიის ასისტირება (პრაქტიკა)“; კლინიკური სასწავლო კურსების დასკვნით გამოცდაზე OSCE-ს გამოყენება, კლინიკური პრაქტიკების შემთხვევაში - კლინიკურ გარემოში სტუდენტის პაციენტთან ინდივიდუალურად შესრულებული სამუშაო (მინი კლინიკური შეფასების სავარჯიშო (Mini-CEXs), პროცედურულ უნარებზე პირდაპირი დაკვირვება (DOPS) მეთოდებით).	შესაბამისი სილაბუსები
საგანს „პრეკლინიკური ოდონტოლოგია“ (3 სემესტრი) დაემატოს წინაპირობად „ადამიანის ნორმალური ანატომია II“ (2 სემესტრი)	რეკომენდაცია გათვალისწინებულია, თუმცა დასაკორექტირებელია გარკვეული შეუსაბამობები, კერძოდ: პროგრამის კურიკულუმში (რეკომენდაციის შესაბამისად) სასწავლო კურს „პრეკლინიკური ოდონტოლოგია“ წინაპირობად განესაზღვრა „ადამიანის ნორმალური ანატომია, ფიზიოლოგია II“, თუმცა სილაბუსში კვლავ მითითებულია „ენდოდონტიის პროპედევტიკა“.	პროგრამის კურიკულუმი (იხ. გვ. 11); სილაბუსი „პრეკლინიკური ენდოდონტია“ (იხ. „დაშვების წინაპირობები“)
საგანს „სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა“ (4 სემესტრი) დაემატოს წინაპირობად „ადამიანის ნორმალური ანატომია II“ (2 სემესტრი) და „ადამიანის ნორმალური ფიზიოლოგიის საფუძვლები“ (3 სემესტრი)	პროგრამის კურიკულუმის და სილაბუსის თანახმად, სასწავლო კურსის „სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა“ წინაპირობაა „ადამიანის ნორმალური ანატომია, ფიზიოლოგია II“.	პროგრამის კურიკულუმი (იხ. გვ. 12); სილაბუსი „სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა“ (იხ. „დაშვების წინაპირობები“)
ვ) პაციენტების მიღება კლინიკურ საგნებში გახდეს სავალდებულო და არა ნებაყოფლობით	კლინიკური სასწავლო კურსების სილაბუსების თანახმად კლიენტების მიღება - დასკვნითი შეფასების (OSCE) ერთ-ერთი კომპონენტია, მაგ., პაციენტის მიღება-კომუნიკაცია („კლინიკური	შესაბამისი სილაბუსები

ბითი	ოდონტოლოგია და ენდოდონტია“); პაციენტის პირველადი შეფასება („კლინიკური უნარ-ჩვევები“). კლინიკური პრაქტიკების შემთხვევაში შეფასების კომპონენტს წარმოადგენს მაგ., პაციენტთან კომუნიკაცია, სამედიცინო ინტერვიუს აღების უნარები, ფიზიკური დათვალიერების უნარი და სხვ.	
კლინიკურ საგნებში პაციენტებთან მეტი კომუნიკაცია და პრაქტიკული მუშაობა ექიმი სტომატოლოგის, პროფესორ-მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ იყოს სავალდებულო	რეკომენდაცია გათვალისწინებულია როგორც სასწავლო კურსებში შესაბამისი აქტივობების შეტანით, ისე პრაქტიკების შინაარსით	სასწავლო კურსების და პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკების სილაბუსები
გაიზარდოს სტუდენტთა უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან, სილაბუსებში გაიწეროს და დაკონკრეტდეს პაციენტებზე ჩასატარებელი მანიპულაციების კონკრეტული რაოდენობა	პაციენტებთან ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა მითითებულია კლინიკური პრაქტიკების სილაბუსებში,	შესაბამისი სილაბუსები (დანართები)
პროგრამის ხელმძღვანელს მიეცეს უფლება კლინიკურ საგნებში დარგის სპეციფიკიდან და პაციენტებზე ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად განსაზღვროს ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა	დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, რეკომენდაციის არსიდან გამომდინარე დღეისათვის უკვე შემცირებულია პრაქტიკულ მეცადინეობებზე ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა, რაც დაადასტურეს როგორც პროგრამის განმახორციელებლებმა, ისე სტუდენტებმა. ასევე, დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარეობს მუშაობა რეკომენდაციის შესრულების ფორმის შერჩევაზე: ერთ-ერთ ვარიანტად განიხილება კლინიკური სასწავლო კურსებისთვის შესაბამის რეგულაციაში ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობის მკაფიოდ მითითება.	ინტერვიუს შედეგები
სტუდენტების რაოდენობასთან შესაბამისობაში იყო ტექნიკურ-მატერიალური ბაზა	დაწესებულებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი რელევანტურია სტუდენტთა რაოდენობისა. ასევე, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის მიზნებისთვის გაფორმებულია: 1) მემორანდუმები (ი/მ გრიგოლ გოგუა; შპს „არტდენტი“; შპს „დენტა-ლუქსი“; შპს „დენტ-ეფექტ“; შპს „საოჯახო სტომატოლოგიური ცენტრი - ჩემი სტომატოლოგი“; შპს „J-smile“; შპს „ლიდერ-დენტალი“; შპს „მაი დენტ“; შპს „მეგა-კომპ“; შპს როლი დენტ“; შპს „ფიმილ დენტისტ“); 2) ქირავნობის ხელშეკრულებები კლინიკურ ბაზებთან (შპს ქიური პათოლოგიის, შიდის და ტუბერკულოზის რეგიონალური კლინიკა“; შპს „ირის მორჩაშვილის სახ. ჯანმრთელობის ცენტრი; შპს „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი - მედცენტრი“; შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“; ს.ს „საზღვაო ჰოსპიტალი“; შპს „სანიტასი“; შპს „უნინ-	მითითებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები.

	მედი აჭარა“).	
პროგრამაში დაზუსტდეს და მითითებული იყოს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სწავლების მეთოდები; გაიმიჯნოს თეორიული და კლინიკური დისციპლინების სწავლების მეთოდოლოგია	პრაქტიკული ხასიათის სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია ისეთი სწავლების მეთოდები, როგორცაა, მაგ., სიტუაციური ამოცანა; მანიპულაციები, უშუალო მეთვალყურეობა, პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა, კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი (CBL). რიგ შემთხვევაში სწავლება მიმდინარეობს ლექციისა და პრაქტიკული მეცადინეობის ფორმატში კლინიკურ გარემოში (BEDSIDE TEACHING) და ტრენინგ-ცენტრში	პროგრამის კომპონენტების სილაბუსები.
პროგრამაში გაძლიერდეს კლინიკური კომპონენტი	პროგრამა მოიცავს როგორც სავალდებულო კლინიკურ სასწავლო კურსებს (მაგ., „კლინიკური უნარ-ჩვევები“, „კლინიკური ოდონტოლოგია და ენდოდონტია“, „კლინიკური პედიატრიული სტომატოლოგია“, „კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგია“, „კლინიკური ყბა-სახის ქირურგია“, ისე სავალდებულო კლინიკურ პრაქტიკებს (მაგ., „კლინიკური პრაქტიკა - მოზრდილთა სტომატოლოგიაში“, „კლინიკური პრაქტიკა პედიატრიულ სტომატოლოგიაში“).	პროგრამის კურიკულუმი (სასწავლო გეგმა), შესაბამისი სილაბუსები
OSCE-ის მეთოდის გამოყენებისას დაიხვეწოს ქვლების მინიჭების მეთოდი (სადგურებზე მოცემული დავალების მნიშვნელობის გათვალისწინებით)	პროგრამის კურიკულუმში მითითებულია, რომ „დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა ყველა სასწავლო კურსისათვის და ტარდება ზეპირი, ტესტური, კომბინირებული ან ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის ფორმით (OSCE). მინიმალური შეფასების ზღვარი არის OSCE-სთვის 25 ქულა“. ასევე, OSCE-ის მეთოდის გამოყენება, სადგურების რაოდენობა და დავალებები მითითებულია კლინიკური სასწავლო კურსების სილაბუსებში)	პროგრამის კურიკულუმი (იხ. გვ. 8); კლინიკური სასწავლო კურსების სილაბუსები
შესწორდეს სილაბუსები „კლინიკური უნარები“ (შეფასების თვალსაზრისით) და „ზოგადი ფარმაცოლოგია“ (მითითებულია მოძველებული სასწავლო ლიტერატურა)	1) სასწავლო კურსში „კლინიკური უნარები“ - შეფასების მეთოდებში გამოყენებულია სიტუაციური ამოცანა/კლინიკური შემთხვევა (შეფასების კრიტერიუმები: შემთხვევის ანალიზი, შემთხვევის განზოგადება, სამკურნალო-დიაგნოსტიკური გეგმა); როლური თამაში (შეფასების კრიტერიუმები: როლური თამაშის დროს იმიტირებული სიტუაციის სიზუსტე და მოქმედების ლოგიკური თანმიმდევრულობა, სიტუაციის გამოკვლევა); პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასება (შეფასების კრიტერიუმები: პრაქტიკული სამუშაოს ჩატარება, მანუალური უნარ-ჩვევები, შესრულების თანმიმდევრულობა ორგანიზაცია); დასკვნითი გამოცდა (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), 10 სადგური, მათ შორის 2 შესვენების სადგური); 2) სასწავლო კურსი „ზოგადი ფარმაცოლოგია“ - რეკომენდაცია ვერ შესრულდებოდა რადგან ამ დასახელების სასწავლო კურსი ამოღებულია პროგრამის სასწავლო გეგმიდან. პროგრამაში დამატებულია სასწავლო კურსი „ფარმაცოლოგია სტომატოლოგიაში“.	1) სილაბუსი „კლინიკური უნარები“ (იხ. შეფასების სისტემა) 2) პროგრამის კურიკულუმი (იხ. სასწავლო გეგმა).
სწავლის შედეგების	დასახვეწია შედეგების ფორმულირება მათი მიღ-	პროგრამის კურიკულ-

<p>ფორმულირების დაბ-ვეწა მათი შეფასების შესაძლებლობის ნაწილში.</p>	<p>წვეის შეფასების/დადასტურების შესაძლებლობის ნაწილში. მაგალითად, პროგრამის შედეგები: „აქვს ბაზისური ბიოსამედიცინო დისციპლინების ... პრობლემების შეფასებისა და გადაჭრის მეთოდების საფუძვლიანი თეორიული ცოდნა“, „იცის სტომატოლოგიური/ზოგადი დაავადებების გამო-მწვევი მიზეზები ...“, „აქვს სადიაგნოსტიკო/სამ-კურნალო დანადგარების ექსპლუატაციის ... უნარი“, „... გაცნობიერებული აქვს სიახლეების ძი-ების, შემდგომი სწავლისა და უწყვეტი პროფესი-ული განვითარების აუცილებლობა“ და სხვ. ანალოგიურად არის ჩამოყალიბებული პროგრამის კომპონენტების შედეგებიც. მაგ., „... აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ... შესახებ“, „აცნობიერებს ... ფუნქციებს ...“, „აქვს... ფუნქციური თავისებურებე-ბის დამოუკიდებლად კვლევის უნარი“, „გააჩნია კლინიკური აზროვნების საფუძვლები“, „აქვს წარ-მოდგენა...“, „შეუძლია ... განსაზღვრა/პრობლემის გააზრება“, „გამომუშავებული აქვს... უნარი“, „მათ ექნებათ ცოდნა ძირითადი საბაზისო დისციპლი-ნების:, სადაც ღრმა და სისტემური ცოდნა გამოყენებული იქნება საბაზისო მანიპულაციების თეორიულ გააზრებაზე რაც ხელს შეუწყობს მის იმპლემენტაციას უნარ-ჩვევებში.“ და ა.შ..</p>	<p>ლუმი (იხ. გვ. 4-5); პროგრამის კომპონე-ნტების სილაბუსები</p>
--	---	--

საბჭოს ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავ-ლო კურსების სწავლის შედეგების გაწერას ბლუმის ზმნების გამოყენებით, რაც მიზნად ისახავდა სწავლის შედეგებს მკაფიოდ ფორმულირებისა და გაზომვადობის (მიღწევის დადასტურების შესაძლებლობის) უზრუნველყოფას. პროგრამის კურიკუ-ლუმისა და სილაბუსების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ შინაარსით რელევან-ტური სწავლის შედეგები დასახვეწია მკაფიოდ ფორმულირებისა და მიღწევის შეფასების/დადასტურების შესაძლებლობის (გაზომვადობის) ნაწილში. ასე, მაგალი-თად, პროგრამის შედეგები: „აქვს ბაზისური ბიოსამედიცინო დისციპლინების ... პრო-ბლემების შეფასებისა და გადაჭრის მეთოდების საფუძვლიანი თეორიული ცოდნა“, „... გაცნობიერებული აქვს სიახლეების ძიების, შემდგომი სწავლისა და უწყვეტი პროფე-სიული განვითარების აუცილებლობა“, სხვ. ასევე, რიგ შემთხვევაში, დასახვეწია პროგ-რამის კომპონენტების სწავლის შედეგებიც, მაგ.: „... აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ... შესახებ“, „აცნობიერებს ... ფუნქციებს ...“, „გააჩნია კლინიკური აზროვნების საფუძვ-ლები“, „აქვს წარმოდგენა...“, „გამომუშავებული აქვს... უნარი“, „მათ ექნებათ ცოდნა ძირითადი საბაზისო დისციპლინების: ..., სადაც ღრმა და სისტემური ცოდნა გამოყე-ნებული იქნება საბაზისო მანიპულაციების თეორიულ გააზრებაზე რაც ხელს შეუწყ-ობს მის იმპლემენტაციას უნარ-ჩვევებში“ და ა.შ. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ზემოთ მითითებული გარემოე-ბა დაკავშირებულია როგორც სწავლების შედეგების ფორმულირების და მათი გაზომ-ვადობის საკითხებზე დამატებითი კონსულტირების, ისე მომზადებული სილაბუსე-ბის დამატებით, ერთობლივად განხილვის საჭიროებით. შესაბამისი აქტივობების გატარება უზრუნველყოფს როგორც უკვე მიღებული რეკომენდაციის შესრულებას, ისე შემდგომში მკაფიოდ და გაზომვადი სწავლის შედეგების ჩამოყალიბებას.

2) დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, საანგარიშო პერიოდში პროგრამა შეფასდა დამსაქმებლების მიერ (ჩატარდა გამოკითხვის ფორმით, 03/04/22) და საქართველოს ერთ-ერთი უსდ-ს წარმომადგენლის მიერ (დასტურდება ოფიციალური წერილით, 10/01/2022):

- გარე შემფასებელმა დადებითად შეაფასა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლების და შეფასების მეთოდები (განსაკუთრებით OSCE-ის დანერგვა), პროგრამის სტრუქტურა, პროგრამის კომპონენტები, რესურსებით უზრუნველყოფა (მათ შორის, ხელშეკრულებების და მემორანდუმების ფარგლებში ჩართული კლინიკების ფართო ქსელი) და სხვ. ასევე, პროგრამის განვითარების მიზნით გარე შემფასებელმა შეიმუშავა გარკვეული რეკომენდაციები, მაგ., ტრანსდისციპლინური ინტეგრაციის ელემენტების გაზრდა, კურიკულუმის გაძლიერება კომუნიკაციის უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსებით, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება (დამოუკიდებელი პრაქტიკის კომპონენტის შემოტანა ბოლო სემესტრებში), ზოგიერთ ზოგად კლინიკური კურსების სილაბუსებში სტომატოლოგიური მიმართულების სპეციფიკის ასახვა, რამდენიმე სასწავლო კურსის შემთხვევაში სასწავლო ლიტერატურის განახლება. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, მიღებული რეკომენდაციები იყო გათვალისწინებული შესაბამისი ცვლილებების სახით;
- დამსაქმებლების (26 რესპოდენტი) გამოკითხვა მიზნად ისახავდა როგორც პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივების შესწავლას, ისე დამსაქმებლებისთვის აქტუალური კომპეტენციების იდენტიფიცირებას და პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შეფასებას. ყველა რესპოდენტი (100%) პერსპექტიულად მიიჩნევს პროგრამის კურსდამთავრებულს. პროგრამის განვითარების მიზნით კი, დამსაქმებლების აზრით, აქცენტი უნდა გაკეთდეს პრაქტიკულ მეცადინეობებზე, გაძლიერდეს კლინიკებში სტუდენტების პრაქტიკა და პრაქტიკული უნარები. ინტერვიუს დროს დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ მათი მოსაზრებები იყო გათვალისწინებული პროგრამის მოდიფიცირების პროცესში, პროგრამა პასუხობს დარგში არსებულ მოთხოვნებს, არის აქტუალური და იმსახურებს დადებით შეფასებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება (MES 2 20 0000820915; 11/09/2020) და საბჭოს სხდომის ოქმი (MES 4 20 0000820890, 11/09/2020);
- პროგრამის კურიკულუმი, პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- პროგრამის გარე შეფასება (საქართველოს ერთ-ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის ოფიციალური წერილი);
- დამსაქმებელთა გამოკითხვა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის განმახორციელებლებს ჩაუტარდეს დამატებითი კონსულტაციები/ტრენინგები/სხვ. ისეთ საკითხებზე, როგორცაა სწავლის შედეგების მკაფიოდ ჩამოყალიბების და მათი გაზომვადობის მნიშვნელობა. ასევე,

<p>აუცილებელია პროგრამის განმახორციელებლებთან ერთად დამატებით განხილულ იქნეს პროგრამის/პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგები მათი გაზომვადობის (მიღწევის დადასტურების შესაძლებლობის) კრილში.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის :</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p> <p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>დაწესებულებაში მოქმედი დოკუმენტებით „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ და „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“ რეგულირდება პროგრამის შეფასების მიდგომები, მექანიზმები და პერიოდულობა, შეფასების პროცესში მონაწილეთა ვინაობა და მათი უფლება-მოვალეობები, შეფასების შედეგების განცილებისა და გამოყენების საკითხები. გამოიყენება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. ასევე, პროგრამის შეფასების კომპონენტებია, მაგალითად, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, მათ შორის პროგრამის დამლევის შეფასება (სამიზნე ნიშნულების დადგენა და მათთან მიღწეული შედეგების დადარება); ადმინისტრაციული, დამხმარე და პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შეფასება-განვითარება, სასწავლო რესურსების შეფასება და სრულყოფა და სხვ. ასევე, შეფასების მექანიზმებს მიეკუთვნება დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროგრამის განმახორციელებლები, პოტენციური დამსაქმებლები) დამოკიდებულებების კვლევა კვლევა სხვადასხვა კითხვარების მეშვეობით.</p> <p>სტანდარტის წინამდებარე კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებაში აღსანიშნავია შემდეგი:</p>

- პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება - გამოყენებულ იქნა შეფასების სხვადასხვა მექანიზმები, მათ შორის პროგრამის გარე შეფასება, პროგრამის განხორციელების პროცესის შეფასება, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება, დაინტერესებული მხარეების (პროგრამის სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების) მოსაზრებების შესწავლა და სხვ., რაც დასტურდება თვითშეფასების დანართებით (შესაბამისი ფორმებით და ანალიზის დოკუმენტებით). განხორციელებულ აქტივობებს ასახავს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანალიზის/განხილვის დოკუმენტები, მაგალითად: „სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება“ (38 რესპოდენტი); „პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვა“; სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასება (ზოგადი) - თანამშრომლები“; დასკვნითი გამოცდების ორგანიზების ხარისხის შეფასება (სტუდენტები)“; ელექტრონული სასწავლო პროცესის შეფასება - ზოგადი (სტუდენტები)“; „ONLINE ლექციების თავსებადობა სასწავლო ცხრილთან“, „შუალედური გამოცდების შედეგების განხილვა“ (სტომატოლოგიის დეპარტამენტის სხდომის ოქმი #07, 24.04.2015). გამოყენებულ კითხვარებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კითხვარები მოიცავენ პროგრამის შეფასებისთვის მნიშვნელოვან კითხვებს, თუმცა რიგ შემთხვევაში არსებობს გარკვეული ხარვეზები, რომლებიც ართულებენ ინფორმაციის შეფასებას (მაგ. „სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება“ - არ დგინდება რესპოდენტთა ვინაობა და წელი. შინაარსიდან გამომდინარე კი რესპოდენტი შეიძლება იყოს როგორც ლექტორი, ისე სტუდენტი); „პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვა“ - ამ შემთხვევაში არ დგინდება რესპოდენტთა რაოდენობა და გამოკითხვის წელი). ინტერვიუში მონაწილე პირებმა (სტუდენტები, პროგრამის განმახორციელებლები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) დაადასტურეს გამოკითხვებში მონაწილეობა. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა, ასევე, აღნიშნეს გამოკითხვების სისტემატურად ჩატარების, შედეგების ხელმისაწვდომობის და უკუკავშირის მიღების ფაქტი. დამსაქმებლებმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ხაზგასმით აღნიშნეს მათ მოლოდინებთან პროგრამის შესაბამისობა და აქტუალობა. საანგარიშო პერიოდში, დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვების გარდა, პროგრამის შეფასების მექანიზმად, ასევე, გამოყენებულ იქნა გარე შეფასება (ერთ-ერთი უსდ-ს წარმომადგენლის მიერ).

განხორციელდა პროგრამის დადარება საქართველოს და უცხოური უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან. სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთი ოქმის (№04, 30.09.2021) თანახმად განხორციელდა: „სხვა უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან პროგრამის დადარება და თანხვედრის დადგენა“, ოქმი თანახმად, შესწავლილ იქნა საქართველოს უსდ-ების (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი). ამავე ოქმის თანახმად, განხილულ იქნა უცხოური უსდ-ების პროგრამები, კერძოდ ფლორიდის უნივერსიტეტის და სამხრეთ კაროლინას უნივერსიტეტის სტომატოლოგიის პროგრამები. ამავე ოქმში მოცემულია ინფორმაცია პროგრამების დადარების შედეგების შესახებ). პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, შესწავ-

ვლი იქნა უცხოეთის სხვადასხვა უსდ-ების პროგრამები. დადარების შედეგად აღმოჩნდა, რომ მითითებული უსდ-ების პროგრამები მეტად შეესაბამებოდა დაწესებულების პროგრამის კონცეფციას და პროგრამის გუნდის ხედვას. ასევე, ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა პროგრამების დადარების შედეგად პროგრამაში გათვალისწინებულ ასპექტებზე და პროგრამის განვითარების შესაძლებლობებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს დადგენილებით №06-01/91, 14.08. 2019);
- „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“ (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს დადგენილებით №37, 15.06. 2017; შეცვლილია აკადემიური საბჭოს დადგენილებებით: №76, 26.07.2017 და №118, 30.11.2017);
- ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულება (დამტკიცებულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით #№4, 17.07.2017);
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“ (დამტკიცებულია ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით №10, 17.07.2017);
- პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი (№4, 30.09.2021);
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები;
- შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა (მედიცინის მიმართულების დამსაქმებლები);
- „დასაქმების ბაზრის კვლევა - სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა“;
- „სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება“;
- „პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვა“;
- პროგრამების პერსონალის გამოკითხვა (ჩატარებული ტრენინგების შესახებ)“;
- „სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასება (ზოგადი) - თანამშრომლები“;
- „სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასება (აკადემიური პერსონალი)“
- „დასკვნითი გამოცდების ორგანიზების ხარისხის შეფასება (სტუდენტები)“;
- „ელექტრონული სასწავლო პროცესის შეფასება (სტუდენტები)“;
- „სასწავლო პროცესის შეფასება - საგნობრივი (სტუდენტები)“;
- „საგანმანათლებლო პროგრამის და სტუდენტური სერვისების შეფასება (სტუდენტები, კურსდამთავრებულები)“;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა“;
- „შუალადური გამოცდების ორგანიზების შეფასება (სტუდენტები)“;
- „ONLINE ლექციების თავსებადობა სასწავლო ცხრილთან (სტუდენტები)“;
- „გაცვლითი პროგრამები - შეფასება (სტუდენტები)“;
- დამსაქმებელთა გამოკითხვა;
- ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით №46, 29.07.2017);
- პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა (www.portal.bsu.edu.ge)

www.apa.bsu.edu.ge); <ul style="list-style-type: none"> ○ დამსაქმებლების მიერ პროგრამის შეფასება (გამოკითხვა); ○ ბსუ-ს ხარისხის სამსახურის კვლევები (www.portal.bsu.edu.ge); ○ პროგრამის გარე შეფასება (უკუკავშირის წერილი); ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)
არ ერთვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:
„სტომატოლოგია“, ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (მაგისტრატურასთან გათანაბრებული)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 47

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

სახელი, გვარი, ხელმოწერა - ვლადიმერ მარგველაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

სახელი, გვარი, ხელმოწერა - ქეთევან ნანობაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა - ვერა ხუნძაკიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა - თამარ გვიანაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა - მირანდა ნონიკაშვილი